

სხივური თერაპია უახლესი ტექნოლოგიები და კვალიფიციური მომსახურება



სხივური თერაპია სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. რადიაციული დასხივებით მკურნალობა ონკოლოგიური პაციენტების ორ მესამედს სჭირდება. ტექნოლოგიების უკუდასვლად მედიცინის ეს დარგიც თვალსა და ხელს შუა ვითარდება.

სულ ახლახან ქირურგიის ეროვნულ ცენტრში რადიაციული თერაპიის ყველაზე თანამედროვედ აღჭურვილი დეპარტამენტი გაიხსნა. განყოფილებას **ბასია სოჟარაშვილი** ხელმძღვანელობს. ბესიკმა მაგისტრატურა ესპანეთში, მურსის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარა რადიაციული ონკოლოგიის მმართველობით, მერე კი წლების განმავლობაში უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში აგროვებდა გამოცდილებას. სხივური თერაპიის მეთოდსა და ქირურგიის ცენტრის ახალ დეპარტამენტზე სწორედ ის ვაკეაუბრა:

რა არის სხივური თერაპია

— სხივური თერაპია არის მკურნალობის მეთოდი, რომელიც მაიონებელი გამოსხივების საშუალებით ანადგურებს სიმსივნურ უჯრედებს. რადიაციული გამოსხივება უჯრედს ყველაზე ადვილად გაყოფის ფაზაში აზიანებს, სიმსივნურ უჯრედებში კი გაყოფის ფაზა

გახშირებულია, ამიტომ რადიაცია უმთავრესად სწორედ ამ უჯრედებზე ახდენს დამაზიანებელ ეფექტს. თანაც, ჯანსაღ უჯრედებს, სიმსივნურისგან განსხვავებით, აქვს რეგენერაციის (აღდგენის) უნარი. თუ გამოსხივების ფრაქციული დოზები ზედმინევით დავიცავით, ამით ხელს შევუწყობთ სიმსივნური უჯრედების დაღუპვას, ნორმალურ უჯრედებს კი რეგენერაციის საშუალებას მივცემთ.

ცხუში აპარატი

— სხივური თერაპიისთვის განკუთვნილი ნაგებობა ყველა სტანდარტის დაცვითაა აშენებული. პროექტი აპარატების მწარმოებელმა ცნობილმა ამერიკულმა ბრენდმა “ვარიანმა” მოგვანოდა. აქ პერსონალის უსაფრთხოება ზედმინევით დაცულია. ჩვენი ბუნკერი ოთხი აპარატზეა გათვლილი, თუმცა ჯერ მხოლოდ ორი გვაქვს. ბევრ ევროპულ კლინიკაში არ დგას ასეთი თანამედროვე დამასხივებლები. აპარატები 2018 წელსაა გამოშვებული და მაქსიმალურად დახვეწილია. კლინიკურად ორივე ერთმანეთის ეკვივალენტურია, რაც იძლევა გარანტიას, რომ გაუთვალისწინებელი ტექნიკური პრობლემის (თუნდაც პროფილაქტიკური დათვალიერების) გამო პაციენტს მკურნალობა არ შეუჩერდება — მკურნალობის სქემის ზედმინევით დაცვა აუცილებელია, ერთი ფრაქციის ჩავარდნამაც კი შესაძლოა შეამციროს სასურველი შედეგის მიღების შანსი.

პერსონალის კვალიფიკაცია

— აპარატურა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზმს. ჩვენი თერაპია სიზუსტეზეა გათვლილი. ამ სიზუსტისთვის რამდენიმე ეტაპის

გავლა საჭირო. ამ პროცესის მნიშვნელოვანი რგოლია რადიოთერაპიის ტექნიკოსი. მან სტანდარტების დაცვით უნდა დაანვიზოს პაციენტი ჯერ კომპიუტერულ ტომოგრაფზე, მერე კი იმავე პოზიციაში — დამასხივებელზე, რათა დასხივება მაქსიმალური სიზუსტით გამხორციელდეს. სხვათა შორის, ჩვენს რადიოთერაპიის ტექნიკოსს დიმიტრი ჩრდილეს ESTRO-ს (ევროპის რადიოთერაპიისა და ონკოლოგთა საზოგადოების) ტრენერის სერტიფიკატი აქვს და შეუძლია, არა მარტო თვითონ იმუშაოს, არამედ სხვასაც ჩაუტაროს ტრენინგი ამ დარგში.

მნიშვნელოვანია, ექიმი როგორ დააკონტურებს მიღებულ გამოსახულებაზე სამიზნე მოცულობას და კრიტიკულ ადგილებს, რომლებიც მინიმალურად უნდა დასხივდეს. კონტურირებული გამოსახულება სამედიცინო ფიზიკოსთან ხდება. სწორედ ის გამოთვლის, ექიმის მიერ განერილი დოზა რა ფორმით უნდა მიეწოდოს პაციენტს და როგორ უნდა მოხერხდეს კრიტიკული ორგანოების დაცვა. ჩვენი სამედიცინო ფიზიკოსების ხელმძღვანელს ირაკლი სვინტრაძეს დოქტორის ხარისხი აშშ-ში აქვს მიღებული ნაწილაკოვან ფიზიკაში.

პროცედურის დაწყებამდე ფიზიკოსი და ექიმი კიდევ ერთხელ განიხილავენ სხვადასხვა ვარიანტს. დასასრულ, ექიმი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, სხივების რა დოზა მიუშვას სიმსივნემდე, დიდი დოზის არჩევის შემთხვევაში რამდენად მზადაა შესაძლო გართულებების სამართავად და ა.შ.

კასიენტან მუშაობა

— პაციენტს სპეციალურად მომზადებული ექთანის გაუნევის მეთვალყურეობას, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ იკვებება ის, რამდენ სითხეს

იღებს, რას იცვამს, რა კოსმეტიკურ საშუალებებს ხმარობს... მაგალითად, სხივური თერაპიის პერიოდში არ შეიძლება ცხარე და ცხელი საკვები, დღის განმავლობაში საჭიროა წყლის სისტემატური სმა, იკრძალება სინთეზური ტანსაცმლის ჩაცმა, დეოდორანტების გამოყენება, სამიშია თაკარა მზეზე მოხვედრა...

მრავალკროფილიანობა

— ონკოლოგთან ერთად თითოეული პაციენტის მკურნალობაში უნდა მონაწილეობდნენ ქირურგი, რადიოლოგი, ჰემატოლოგი და, სიმსივნის ლოკალიზაციის შესაბამისად, სხვა სპეციალისტების ექიმები. მათ ერთად უნდა განსაზღვრონ მოსალოდნელი გართულებები, შეიმუშაონ მკურნალობის სქემა. ონკოლოგიური დაავადების მკურნალობისას ძალიან მნიშვნელოვანია ყველა პრობლემის ერთ სივრცეში მოგვარების შესაძლებლობა. ასეთია ქირურგიის ეროვნული ცენტრი, სადაც მედიცინის ყველა ძირითადი სფეროა განვითარებული, ხოლო დიაგნოსტიკა და მკურნალობა უახლესი აპარატურით ტარდება.

თითოეული პაციენტის მკურნალობის ტაქტიკისა და დასხივების გეგმის შედგენაში მონაწილეობას მიიღებენ უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექსპერტები: აშშ-ის ატლანტის ემორის უნივერსიტეტის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის ხარისხის განყოფილების უფროსი, პროფესორი ნათია ესიაშვილი და ესპანეთის ჩენესისჩარე-ს ონკოლოგიის მულტი-დისციპლინური ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი, ESTRO-ს რადიოთერაპევტთა საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტის წევრი, მურსის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მაია ჯულაშვილი. ასე რომ, უმაღლესი სტანდარტებით ვიმუშავებთ.